სიკვდილის აკრძალვა და ღირსეული სიცოცხლის უფლება

გიორგი ლორია

სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

gio.loria@gmail.com

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ევთანაზიის საკანონმდებლო რეგულირების პრობლემა. საკითხი გაშუქებულია ადამიანის აბსოლუტური და ხელშეუვალი უფლებების ფონზე. ნაშრომის ამოცანას არ წარმოადგენს ევთანაზიის არსის დადგენა და მისი ფორმების ერთმანეთისგან გამიჯვნა. კვლევის მიზანია, ახლებური მიდგომით მოხდეს საკითხის გაშუქება. ნაშრომი აერთიანებს ევთანაზიასთან დაკავშირებულ სამედიცინო, რელიგიურ, მორალურ, ფილოსოფიურ და ნორმატიულ მიდგომებს. კვლევის არეალი სცდება ეროვნული პოზიტიური კანონმდებლობის ანალიზს და მიმოიხილავს უცხო სახელმწიფოების და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს. ასევე გაანალიზებულია უცხო სახელმწიფოების და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. დასკვნები ჩამოყალიბებულია ადამიანის ძირითადი უფლებების და ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლების შედარების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ევთანაზია, სიცოცხლე, კონვენცია

Prohibition of Death and the Right to a Dignified Life

Giorgi Loria

Doctor of law, Professor at the School of Law at Caucasus University, Member of the Union of Law scientists

gio.loria@gmail.com

ABSTRACT

The paper discusses the problem of legislative regulation of euthanasia. The issue is covered against the background of absolute and inviolable human rights. The task of the paper is not to establish the essence of euthanasia and to separate its forms from each other. The aim of the research is to cover the issue with a new approach. The paper combines medical, religious, moral, philosophical and normative approaches to euthanasia. The study area goes beyond the analysis of national positive legislation and reviews the requirements of foreign states and International law. The decisions of foreign states and the European Court are also analyzed. The findings are based on a critical analysis of a comparison of basic human rights and the powers of government.

KEYWORDS: euthanasia, life, convention

შესავალი

კანონმდებელს ხშირად იმგვარი სენსიტიური საკითხების შესახებ უწევს გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ყველასთვის შესაძლოა განსხვავებული ხედვის საგანს წარმოადგენდეს. ერთ-ერთი მათგანია ევთანაზია.

ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ევთანაზიის მარეგულირებელ ნორმათა შორის კოლიზიის განხილვა. ყურადღების ცენტრში ადამიანის უფლებების და სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლების ურთიერთმიმართებაა მოქცეული. ნაშრომის მიზანში არც ევთანაზიის სახეობების და მისი არსის ახსნა შედის. ეს ყველაფერი აქამდე განხორციელებულ კვლევებში საკმარისი სისრულითაა წარმოდგენილი*. კვლევის მიზანია, ადამიანის უფლებების და თავისუფლებების ფონზე მოხდეს საკითხის განხილვა და ხელისუფლების უფლებამოსილების ფარგლებთან კავშირში და მასთან მიმართებით განისაზღვროს ადამიანის, როგორც თავისუფალი არსების, სიცოცხლის ღირებულებითი მასშტაბი.

ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი ჯერ კიდევ უძველესი დროიდან აზრთა დაპირისპირებას იწვევდა, თუმცა, საკანო-

* სადრაძე, თ., 2012. ევთანაზია და ფეტუსის სისხლისსამართლებრივი დაცვის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ნმდებლო დონეზე პრობლემა მხოლოდ XX საუკუნიდან წარმოიშვა.[1] ძველ დროში თვითმკვლელობის მიუღებლად აღიარების საკითხს რელიგიური დოგმები არეგულირებდა და სამართლებრივი გადაწყვეტილებებიც რელიგიის მოთხოვნებზე იყო დამოკიდებული. ანტიკურ ხანაში რელიგიური თვალსაზრისით თვითმკვლელობა არ იკრძალებოდა. ზოგჯერ, პირიქით, წახალისებულიც კი იყო იმ შემთხვევებში, თუ პირი ამით აირიდებდა სირცხვილს, დამამცირებელ ყოფას და სიცოცხლეს ღირსეულად დაასრულებდა.

ქრისტიანობამ მკაცრად აკრძალა თვითმკვლელობა ნებისმიერ შემთხვევაში და ნებისმიერი ფორმით. რადგან რელიგია განსაკუთრებულ როლს ასრულებდა სახელმწიფო საქმიანობაში და კანონშემოქმედება რელიგიურ მოთხოვნებთან თანხვედრაში ხორციელდებოდა, სუიციდი და მისი მცდელობა მიუღებლად გამოცხადდა. კანონი პირდაპირ არაფერს ამბობდა ამის შესახებ, მაგრამ ეკლესიის და რელიგიური წარმოდგენების შიშით ვერ ბედავდნენ საკუთარი სურვილის შესაბამისად დაესრულებიათ სიცოცხლე.

საბოლოო და ყველასთვის ერთნაირად მისაღები გადაწყვეტილება არც დღეისთვისაა ჩამოყალიბებული. ევთანაზიის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ართულებს ის, რომ პრობლემა უნდა გადაწყდეს 4 ძირითადი და ერთმანეთისგან განსხვავებული კრიტერიუმის ჰარმონიული შერწყმით. ეს კრიტერიუმები თავმოყრილია: სამედიცინო, რელიგიურ, მორალურ და ნორმატიულ მიდგომებში. საკითხის გასაშუქებლად თითოეული მათგანის მოთხოვნები სათითაოდ უნდა იქნეს გაანალიზებული.

ევთანაზია სამედიცინო თვალსაზრისით

სამედიცინო ლიტერატურაში ერთმანეთისგან განასხვავებენ პაციენტის გარდაცვალებას ექიმის დახმარებით და ევთანაზიას.[2] პირველი გულისხმობს პაციენტისთვის სასიკვდილო საშუალების გადაცემას, ხოლო მეორე კი – ექიმის მიერ სასიკვდილო ინექციის გაკეთებას იმ ავადმყოფისთვის, რომელსაც თვითონ ამის გაკეთება ფიზიკურად არ შეუძლია. ექიმების დიდი ნაწილი ევთანაზიის წინააღმდეგია, მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერს მხარს მის დეკრიმინალიზებას[3]. ექიმები უმეტესად ემხრობიან იმას, რომ მათ ჰქონდეთ უფლება, პაციენტს მისცენ საკუთარი ხელით სუიციდის განხორციელების საშუალება, თუმცა, წინააღმდეგნი არიან, რომ ამ ქმედებაში თვითონ მედიცინის მუშაკებმა მიიღონ მონაწილეობა [4]. სხვაგვარად რომ ითქვას, ექიმების ინტერესი მიმართულია არა საბოლოო შედეგისკენ, არამედ იმისკენ, თუ ვინ უნდა გაუკეთოს პაციენტს ინექცია. თუ ამას თვითონ ავადმყოფი აკეთებს, მაშინ საწინააღმდეგო არაფერი

1 Voluntary Euthanasia, Stanford Encyclopedia of Philosophy. First published Thu Apr 18, 1996; substantive revision Mon Jan 6, 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://plato.stanford.edu/entries/euthanasia-voluntary/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

2 Brock, D., 1992. Voluntary Active Euthanasia, The Hastings Center Report. 22(2), გვ. 10. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.jstor.org/stable/3562560?seq=1> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი].

3 Smoker, B., 1983. Voluntary euthanasia, Journal of medical ethics, 9, გვ. 52. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1060855/pdf/jmedeth00008-0052a.pdf> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

4 Wanzer, S. and others, 1989. The physician's responsibility toward hopelessly ill patients. The New England Journal of Medicine, 320 (13), გვ. 844-849.

აქვთ, მაგრამ, თუ ეს მათი გასაკეთებელია, მაშინ უარს ამბობენ.[5]

ევთანაზიის საკითხებით დაინტერესებული მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა კულტურის ხალხში განსხვავებული შეხედულებებია და რომ ინგლისურენოვან ქვეყნებში ავადმყოფის ნებას უფრო მეტად უჭერენ მხარს, ვიდრე კონტინენტური ევროპის ქვეყნებში.[6] კვლევებმა დაადგინა, რომ მიუხედავად სამართლებრივი და საყოველთაო ჯანდაცვის სისტემების ერთნაირი მოთხოვნისა, კონტინენტური ევროპის სახელმწიფოებში: ნიდერლანდურენოვან და ფრანგულენოვან მოსახლეობაში ევთანაზიისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია.[7] საკუთარი სიცოცხლის მართვის უფლება სხვადასხვაგვარად აღიქმება არამარტო განსხვავებულ კულტურებში, არამედ ერთი ქვეყნის განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ საზოგადოებრივ ფენებშიც.[8]

მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო სფეროში აზრთა სხვადასხვაობაა და ევთანაზიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ პაციენტის სურვილს პატივი უნდა სცეს ექიმმა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას სურს სიკვდილი,[9] მედიკოსთა უმეტესობა მაინც სკეპტიკურად უყურებს ევთანაზიის ლეგალიზების საკითხს. ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენელთა შეხედულებები, XX საუკუნის ოციან წლებში ევთანაზიის მომხრედ ერთად გამოდიოდნენ იურისტი ბინდინგი და ფსიქიატრი ალფრედ ჰოჩი, რომელთა შეხედულებითაც გამართლებული იყო არამარტო ნებაყოფლობითი, არამედ იმ პირთა იძულებითი ევთანაზიაც, რომლებიც, მათი აზრით, საზოგადოებისთვის უსარგებლონი იყვნენ.[10]

სხვადასხვა კვლევის თანახმად, ნაცისტური ხელისუფლების პერიოდში ექიმების მხრიდან მკვლელობები თავისი მნიშვნელობით ჰოლოკოსტის გენოციდს აღემატებოდა.[11] განხილული ფაქტების ანალიზიდან გამომდინარე, ნათელია, რომ მედიცინა მხოლოდ იმ შემთხვევაში უჭერს მხარს ევთანაზიას, თუ ეს კანონმდებლობითაა ნებადართული. სამედიცინო დაწესებულებების და მედპერსონალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია

5 Vizcarrondo, F., 2013. Editorial Euthanasia and assisted suicide: The physician's role. The Linacre Quarterly, 80 (2), გვ. 101. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://journals.sagepub.com/doi/full/10.1179/0024363912Z.0000000002> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

6 Seale, C., 2000. Changing patterns of death and dying. Social Science & Medicine, 51(6), გვ. 917 – 930. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S027795360000071X?via%3Dihub> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

7 Lieve, V., d. and others, 2009. Euthanasia and other end-of-life decisions: a mortality follow-back study in Belgium, BMC Public Health 2009, 9:79. გვ. 4. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bmcpublichealth.biomedcentral.com/track/pdf/10.1186/1471-2458-9-79> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

8 იქვე.

9 Peretti-Watel, P. and others, 2003. Doctors' opinions on euthanasia, & of life care, & doctor-patient communication: telephone survey in France. 13, 327 (7415). გვ. 595. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC194087/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

10 Wolfensberger, W., 1993. A reflection on Alfred Hoche, the ideological godfather of the German "euthanasia" program. Disability, Handicap & Society, 8(3), გვ. 311.

11 Vizcarrondo, F., 2013. Editorial Euthanasia & assisted suicide: The physician's role. The Linacre Quarterly, 80 (2), გვ. 100 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://journals.sagepub.com/doi/full/10.1179/0024363912Z.0000000002> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

სამართლის ნორმებთან. ამიტომ მედიცინა ყველაზე ნაკლებკომპეტენტურ პასუხს გასცემს ადამიანის სურვილით გარდაცვალების დაკანონებასთან დაკავშირებულ კითხვებს.

რელიგიური შეხედულებები ევთანაზიის შესახებ

რელიგია ადამიანის ცნობიერებისა და საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტერმინანტი იყო საუკუნეების განმავლობაში. თანამედროვე სეკულარულ სახელმწიფოში მისი როლი კანონშემოქმედებაში საგრძნობლად კლებულობს.

რელიგიას და მორალს სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ერთმანეთთან კორელაციაში განიხილავენ.[12] ზოგჯერ ისინი ერთმანეთისგან გამიჯნულია.[13] მართალია, ხშირად რელიგია განსაზღვრავს საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ მორალს, მაგრამ, როდესაც საქმე ეხება სამართლებრივ საკითხებს, მათი ერთმანეთთან გაიგივება არასწორია. სამართალი მორალის მოთხოვნებით უფრო მეტადაა შებოჭილი, ვიდრე რელიგიური დოგმებით. შეიძლება იმის მტკიცება, რომ მორალი მხოლოდ რელიგიით არაა განპირობებული და ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ საზოგადოებრივ აზრზე, ქცევებსა და ნორმაშემოქმედებაზე.

რელიგიური თვალსაზრისით ევთანაზია კატეგორიულად აკრძალულია, რადგან ადამიანს სიცოცხლეს ღმერთი ანიჭებს და გარდაცვალებაც მის ნებაზეა დამოკიდებული. ყოველგვარი თვითნებური ჩარევა ღვთაებრივი ნების აღსრულებაში მკაცრადაა დაგმობილი. ქრისტიანულ რელიგიაში ეს პოზიცია მკაფიოდაა გამოხატული და მისი დაცვა იმპერატიულად მოითხოვება.

ბუდიზმი, ისევე როგორც ქრისტიანობა, ევთანაზიის წინააღმდეგია, ამ რელიგიისთვის მკვლელობის ყველა ფორმა მიუღებელია. სამეცნიერო შრომებში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ევთანაზიის გმობის საფუძველი ორივე რელიგიაში არის სიცოცხლის ღვთაებრივ საწყისთან გაიგივება, რომ ადამიანის სიცოცხლე ღვთის საჩუქარია და წმინდაა, მისი ხელყოფა კი – მიუღებელი.[14] სხვები სკეპტიკურად უყურებენ ბუდიზმში თვითმკვლელობასა და ევთანაზიასთან დაკავშირებული საკითხის მკაფიოდ გამოხატვას და მიაჩნიათ, რომ რელიგიათა საერთო მორალური კონსენსუსის არსებობა მეტ კვლევას მოითხოვს.[15] ხშირად იმასაც ამტკიცებენ, რომ ბუდიზმი ევთანაზიასთან დაკავშირებით მკაფიოდ ჩამოყალიბებულ დოგმას არ შეიცავს და ის შეიძლება ზოგადი მიდგომის სახით იქნეს ამოცნობილი.[16] მიუხედავად გარკვეული ბუნდოვანებისა, მაინც იკვეთება ბუდიზმის დამოკიდებულება ევთანაზიასთან მიმართებაში. ბუდიზმის თანახმად, ადამიანის არსებობის ძირითადი მიზანი მისი სრულყოფაა. ეს კი მიიღწევა გონების სრულყოფით და ცუდი აზრებისგან განწმენდის გზით. გონება უნდა განაგებდეს სხეულს და არა პირიქით. ევთანაზია კი გულისხმობს,

12 ხუბუა, გ., 2015. სამართლის თეორია. თბილისი: მერიდიანი, გვ. 67.

13 Rachels, J., 2003. The elements of Moral Philosophy. Fourth ed. McGraw-Hill Higer Education, გვ. 58.

14 Keown, D. and Keown, J., 1995. Killing, karma & caring: euthanasia in Buddhism & Christianity. Journal of medical ethics, 21(5), გვ. 266.

15 Perrett, R. W., 1996. Buddhism, euthanasia & the sanctity of life. Massey University, Palmerston North, New Zealand. Journal of Medical Ethics, 22, გვ. 312.

16 Андрианов, А., 2019. Отношение к эвтаназии в буддизме. გვ. 184. DOI: 10.24411/2309-5164-2019-17813. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://cyberleninka.ru/article/n/otnoshenie-k-evtanazii-v-buddizme/viewer> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

რომ გონების მდგომარეობა ისეთია, რომ ის სიცოცხლის მოსპობაზე, ე.ი. იმგვარ რამეზე ფიქრობს, რაც მის კარგ და მისაღებ მდგომარობას არ შეესაბამება, ამიტომ ბუდიზმისთვის მიუღებელია ევთანაზია.

ინდუიზმი ადამიანის ტანჯვის წინააღმდეგია და მისთვის ამ მძიმე ვითარებაში დახმარებას არ ეწინააღმდეგება,[17] მაგრამ ძირითადი კრედო ინდუიზმში ადამიანის რეინკარნაციაა. სიკვდილი ბუნებრივი პროცესია, რომელიც თავისით მოვა. ის ასრულებს ერთ ცხოვრებას და იწყებს მეორეს. ამ ბუნებრივ პროცესს თუ ხელს შეუშლის ადამიანი და ხელოვნურად დააჩქარებს საკუთარ სიკვდილს, მაშინ რეინკარნაციაც ვერ განვითარდება ღვთის ნების შესაბამისად. სიკვდილი, როგორც ბუნებრივი პროცესის ხელოვნურად დაჩქარება, არღვევს გარდაცვალების და რეინკარნაციის ბუნებრივ ციკლს და ამის გამო ევთანაზია გაუმართლებელია.[18] ვინც მონაწილეობას ღებულობს ევთანაზიაში, მათზე გადავა გარდაცვლილის კარმა, რადგან მათი ერთობლივი მოქმედებით ირღვევა ბუნებრივი ჰარმონია.[19]

ევთანაზია არც ისლამისთვისაა მიღებული. ადამიანის სიცოცხლე პატივისცემის ობიექტად და მნიშვნელოვან ღირებულებადაა მიჩნეული. ყურანის თანახმად თვითმკვლელობა მიუღებელია, რადგან ღმერთი მოწყალეა ადამიანების მიმართ.[20]

შეიძლება იმის თქმა, რომ თანამედროვე სამყაროში არსებული რელიგიური მოძღვრებები ერთხმად ეწინააღმდეგება ევთანაზიის ლეგალიზებას.

ევთანაზია მორალური თვალსაზრისის შესაბამისად

მორალი – ისევე, როგორც რელიგია, ადამიანისთვის თვითმკვლელობაში დახმარებას ძირითადად არ ამართლებს. თუმცა, ბოლო დროს შეხედულებები თითქმის მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიცვალა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ აჩვენა, რომ კანადის მოსახლეობის დიდი ნაწილი ევთანაზიის ლეგალიზაციის მომხრეა.[21] მსგავსი შეხედულების მქონე ადამიანთა რიცხვი სიკვდილის დაჩქარებაზე სხვა ქვეყნებშიც იზრდება.[22] საზოგადოებრივი აზრის ანალიზმა მკაფიოდ გამოავლინა, რომ

17 Barnes, M., 1996. Euthanasia: Buddhist principles. Heythrop College, University of London, London: UK. BrWt/i Mwfcol Bulletin, 52 (2). გვ. 373. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.academic.oup.com/bmb/article/52/2/369/403431> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020]

18 Nimbalkar, N., 2007. Euthanasia: The Hindu Perspective. National Seminar on BIO ETHICS – 24 55 th & 25th Jan. Joshi-Bedekar College, Thane, გვ. 56. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.vpmthane.com/Publications/Bio-Ethics/Namita%20Nimbalkar.pdf> [წვდომის თარიღი 7 აქტომბერი 2020].

19 Euthanasia, assisted dying, & suicide. Last updated 2009-08-25. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.bbc.co.uk/religion/religions/hinduism/hinduethics/euthanasia.shtml> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

20 ყურანი. The Holy Qur'an, 2015. Arabic text & English translation. Islam International publications limited. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.alislam.org/quran/Holy-Quran-English.pdf> 4:29 [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

21 Marcoux, I., Mishara, B. L. and Durand, C., 2007. Confusion Between Euthanasia & Other End-of-Life Decisions (Influences on Public Opinion Poll Results). Canadian Journal of Public Health, 98 (3). გვ. 235-239. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.pubmed.ncbi.nlm.nih.gov/17626391/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

22 Chapple, A., Ziebland, S., McPherson, A. and Herxheimer, A., 2006. What people close to death say about euthanasia & assisted suicide: a qualitative study. Journal of Medical Ethics, 32 (12). გვ. 706.

დღეისათვის მორალური შეხედულებები ორადაა გაყოფილი. საზოგადოების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ევთანაზია მიუღებელია ადამიანის სიცოცხლის სიწმინდიდან და მისი ღვთაებრივი საწყისებიდან გამომდინარე. მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ადამიანი ტკივილის მოსათმენად არაა შექმნილი და ტანჯვის ატანას და მშვიდ სიკვდილს შორის არჩევანის გაკეთება ინდივიდის ნებაზეა დამოკიდებული.

ინდივიდუალური მორალი საკუთარი თავის სხვის ადგილზე წარმოდგენით ახორციელებს განსჯას და ამიტომაც, ზოგს ევთანაზიის მომხრედ აქცევს, სხვებს კი – მის მოწინააღმდეგედ.

ევთანაზიის სამართლებრივი რეგულირება

საბოლოო სიტყვა ევთანაზიასთან დაკავშირებით მაინც სამართალს ეკუთვნის. როგორ გადაწყდება საკითხი საკანონმდებლო რეგულაციებზეა დამოკიდებული და ექიმებიც ისე მოიქცევიან, როგორც ამას კანონი მოითხოვს.

აშშ-ს მხოლოდ 5 შტატშია დაშვებული დახმარებით თვითმკვლელობა. პირველად ორეგონის შტატში 1997 წელს შევიდა ძალაში კანონი, რომლის თანახმად ლეგალიზებულად გამოცხადდა თვითმკვლელობა დახმარებით. შტატის კანონმდებლობით ექიმს ეძლევა უფლება, გასცეს სასიკვდილო პრეპარატის რეცეპტი.

საფრანგეთში დღევანდელი დღის ჩათვლით ევთანაზია აკრძალულია. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი ჰპირდებოდა მოსახლეობას, რომ გადახედავდა ღირსეულად გარდაცვალების საკანონმდებლო რეგულირებას, ყოველთვის თავს არიდებდა საკითხის ლეგალიზების სასარგებლოდ გადაწყვეტას. 2005 წლის 22 აპრილის ე.წ. „ლეონეტის კანონი“ ექიმს მხოლოდ იმის უფლებას აძლევს, რომ უიმედო სიტუაციაში, როცა პაციენტის გამოჯანმრთელების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, გაუმართლებელი სიჯიუტის ფარგლებში აღარ განაგრძოს მკურნალობა.[23] 2016 წლის 2 თებერვალს საფრანგეთის კანონმდებლობამ კიდევ უფრო დააზუსტა არსებული რეგულაციები და ახალი კანონით მკაფიოდ განუსაზღვრა ექიმს ვალდებულება, რომ არ განაგრძონ მკურნალობა იმ შემთხვევაში, თუ ის არანაირ სარგებელს არ მოუტანს პაციენტს.[24] როგორც კანონის ერთ-ერთმა თანაავტორმა განაცხადა, კანონის მიღების მიზანი იყო, დაეცვა პაციენტები მძიმე და აუტანელი სიკვდილისგან.[25] 2016 წლის ცვლილებებით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა პაციენტის სურვილს და არა იმას, რა არის პაციენტისთვის სასარგებლო სამედიცინო თეორიული თვალსაზრისით.[26]

შვეიცარიაში კანონმდებლობა ლიბერალურადაა განწყობილი ევთანაზიისადმი.

23 Van Zebroek, S., 2019. Patient's Orders: Patient's Rights and the Doctor's Obligations under the Claeys–Leonetti Law of 2016 in France. Statute Law Review, 2019, 40 (3), გვ. 267. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.academic.oup.com/slr/article/40/3/266/4932786> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

24 იქვე. გვ. 268.

25 France adopts sedated dying law as compromise on euthanasia. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.theguardian.com/society/2016/jan/28/france-adopts-sedated-dying-law-as-compromise-on-euthanasia> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

26 Van Zeebroek, S., 2019. Patient's Orders: Patient's Rights and the Doctor's Obligations under the Claeys–Leonetti Law of 2016 in France. Statute Law Review, 40 (3) გვ. 267. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.academic.oup.com/slr/article/40/3/266/4932786> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

აქ ჩამოყალიბდა და მოქმედებს ორგანიზაციები: Dignitas და Exit, რომლებიც ფასიან მომსახურებას უწევენ ევთანაზიის მსურველ პირებს. ევთანაზია 2002 წლიდან ლეგალიზებულია ნიდერლანდებში. 2002 წლიდან ევთანაზიის დეკრიმინალიზებას შეუერთდა ბელგიაც. დღეისათვის ევთანაზია ლეგალიზებულია ლუქსემბურგში (2008 წლიდან), კანადაში (2016 წლიდან), კოლუმბიაში (2015 წლიდან), ავსტრალიის შტატ ვიქტორიაში.[27] ჩამოთვლილი ქვეყნების კანონმდებლობაში სხვადასხვა მიდგომებია დამკვიდრებული. უმეტეს შემთხვევაში ნებადართულია თვითმკვლელობა დახმარებით. ლუქსემბურგში, ბელგიაში, კანადასა და კოლუმბიაში ნებადართულია ორივე სახეობა. ძირითადად ტერმინალური დაავადების, ე.ი. უკურნებელი დაავადების სიკვდილისწინა სტადიის შემთხვევაშია შესაძლებელი ევთანაზიის მოთხოვნა. თუმცა, განსხვავებები კანონმდებლობაში ამ ქვეყნებშიც შეინიშნება. ბელგიაში ასაკობრივი შეზღუდვაც კი არ მოქმედებს. ნიდერლანდებში კანონმდებლობა უფრო ლიბერალურ დამოკიდებულებას იჩენს პაციენტის ნებასთან მიმართებით, ვიდრე აშშ-სა და ავსტრალიაში. დღეისათვის, თანამედროვე სახელმწიფოთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღიარებს ნებადართულად ევთანაზიას.

ევთანაზიასთან დაკავშირებული რეგულაციები იცვლება გერმანიაში. გერმანია ნაცისტური რეჟიმის ქმედებების გამო წლების მანძილზე მკაცრად კრძალავდა ევთანაზიას. 2015 წელს მიღებული სისხლის სამართლის კოდექსის 216-ე და 217 – ე მუხლებით ევთანაზია აიკრძალა. მიზანი ის იყო, რომ არ მომხდარიყო საკითხის კომერციალიზაცია და გარკვეულ პირებს და სხვადასხვა ორგანიზაციებს ეს შემოსავლის წყაროდ არ ექციათ. გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, დასჯადია ქმედება, რომელიც წინასწარ განზრახულია და თვითმკვლელობაში დახმარების მკაფიოდ გამოხატულ მიზანს ატარებს. ამასთან, ისჯება პირი, რომლის ქმედება განმეორებით განხორციელებაზეა გათვლილი. პაციენტის ოჯახის წევრები და ნათესავები, რომელთა ქმედებაც განმეორებად მიზანს არ ატარებს, გაცილებით მსუბუქად ისჯებიან.[28] ეს იმას გულისხმობს, რომ გერმანიის ხელისუფლების მიზანია კომერციული მიზნებით ევთანაზიის აკრძალვა.

დღეისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სამართლებრივი რეგულირება ლიბერალიზაციისკენაა მიმართული. 2020 წლის 26 თებერვალს გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ სიცოცხლის უფლება ახლებურად განმარტა. სასამართლომ განაცხადა, რომ დახმარებით თვითმკვლელობის აკრძალვა არაკონსტიტუციურია, რადგან ის ართმევს ადამიანს სიკვდილის თვითგანსაზღვრის უფლებას. აქედან გამომდინარე, გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 217-ე მუხლი არაკონსტიტუციურად ცნო და მიუთითა, რომ კონსტიტუციის შეზღუდვითი განმარტება დაუშვებელია. სასამართლოს თავმჯდომარე ანდრეას ფოსკულე თვითმკვლელობის უფლებას ადამიანის პირად თავისუფლებად მიიჩნევს.[29]

ევროპის სახელმწიფოებში უკვე შეიმჩნევა საკითხის პაციენტის ნების სასარგებლოდ გადაწყვეტის ტენდენცია. ესპანეთში 2020 წლის განმავლობაში იგეგმება საკითხის გა-

27 Siffat, M. and Nesselrode, A., 2019. The Ethics of Euthanasia. United Nations Human Rights Council. გვ. 5.

28 Art 216, 217, German Criminal Code. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

29 Bundesverfassungsgericht. Press Release No. 12/2020 of 26 February 2020. Criminalisation of assisted suicide services unconstitutional. Judgment of 26 February 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2020/bvg20-012.html> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

ნხილვა. პორტუგალიაც აპირებს, რომ გადახედოს არსებულ კანონმდებლობას.[30]

საქართველოს კანონმდებლობაში ევთანაზიას რამდენიმე ნორმატიული აქტი ეხება. ეს აქტებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ" და საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ". ამ აქტებში რაიმე ერთიანი სულისკვეთება ან საერთო პრინციპი, რომლის მიხედვითაც დარეგულირდება ეს პრობლემური საკითხი, არ შეინიშნება და იკვეთება განსხვავებული პოზიციები. კონსტიტუციით აღიარებულია როგორც ადამიანის სიცოცხლის უფლება, ასევე წამების აკრძალვა, როგორც აბსოლუტური უფლებები. კონსტიტუციურ ყველა უფლებას გააჩნია არსებობის საფუძველი.

სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლი დასჯადად აცხადებს მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით. „პაციენტის უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლი გასაოცარი ორიგინალურობით გამოირჩევა, რადგან ამ ნორმის მიხედვით, როგორც ჩანს, ტკივილის ატანა ან/ და სიცოცხლის თვითმკვლელობით დასრულება მოქალაქეობაზე ყოფილა დამოკიდებული. ნორმა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს აძლევს უფლებას, წინასწარ გამოხატოს საკუთარი ნება, განუკურნებელი სენით დაავადების ტერმინალურ სტადიაში მყოფს ჩაუტარდეს თუ არა მკურნალობა.[31] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ" 148-ე მუხლში აცხადებს, რომ ავადმყოფს უფლება აქვს უარი განაცხადოს მედიცინაში არსებულ სიცოცხლის შემანარჩუნებელ მკურნალობებზე.[32] კანონმდებლობასთან ერთად მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც. რაც ძირითადად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გაშუქებით განხორციელდება.

2008 წლის ოქტომბერში დები პარდიმ მიმართა გაერთიანებული სამეფოს სასამართლოს. იგი ითხოვდა 1961 წლის „სუიციდის აქტის" შესახებ ნორმების განმარტებას. მას ჰქონდა გაფანტული სკლეროზი და სურდა, სიცოცხლე ევთანაზიით დაესრულებინა. პარდის ადვოკატები ითხოვდნენ ნორმის განმარტებას, რაც პარდის ევთანაზიის განხორციელების უფლებას მისცემდა. გაერთიანებული სამეფოს უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, რომ კანონმდებლობა საკმარისად ნათელია და მოსარჩელის უფლებები მოქმედი ნორმებით არ ირღვევა. შესაბამისად, პარდის უარი ეთქვა მოთხოვნაზე.[33]

2008 წელს საფრანგეთის მოქალაქემ, მასწავლებელმა, შანტალ სებირმა, მიმართა სასამართლოს. მას ჰქონდა იშვიათი სახის დაავადება – ესტესიონეირობლასტომა, მას აწუხებდა სახის შეშუპება, გემოს და სუნის შეგრძნებების დაკარგვა, მხედვე-

30 Cook, M., 2020. Germany's high court endorses right to assisted suicide . 29.02.2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bioedge.org/bioethics/germanys-high-court-endorses-a-right-to-assisted-suicide/13343> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

31 მუხლი 24, საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ". 25/05/2000. #283. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

32 მუხლი 148, საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ". 10/12/1997. #1139 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

33 Spooner, M., 2009. Legal consensus Eludes Europe. CMAJ. (Canadian Medical Association or its licensors). 180(3): doi: 10.1503/cmaj.081965. გვ. 282. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2630344/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

ლობის დაქვეითება. შეშუპება აზიანებდა ტვინს და საბოლოოდ, იწვევდა ლეტალურ შედეგს. 2008 წლის 17 მარტს დახმარებით სიკვდილზე შანტალმა უარი მიიღო საფრანგეთის სასამართლოსგან. მაშინ მან თვითონ მოიპოვა მედიკამენტები და მათი მიღების შედეგად გარდაიცვალა.[34]

23 წლის ინგლისელმა რაგბისტმა, დენიელ ჯეიმსმა, 2007 წელს ვარჯიშის დროს მიიღო ტრავმა. ტრავმამ დაუზიანა ხერხემლის მალები. რამდენიმე ოპერაციის და მკურნალობის შედეგად მას უკვე შეეძლო დამოუკიდებლად ჩაცმა და ეტლში ჩაჯდომა დახმარების გარეშე. ექიმები იმედოვნებდნენ, რომ ის მალე შეძლებდა სიარულს ყავარჯნებით და მისი მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდებოდა.[35] მიუხედავად ამგვარი დამაიმედებელი პროგნოზებისა, დენიელმა თვითმკვლელობა გადაწყვიტა და გაემგზავრა შვეიცარიაში, სადაც აქტიური ევთანაზიით დაასრულა სიცოცხლე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული სამეფოს 100-მდე მოქალაქემ დაასრულა სიცოცხლე შვეიცარიის კლინიკა Dignitas – ში, მაგრამ მათი ოჯახის წევრებიდან, ნათესავებსა და მეგობრებიდან ჯერ არავინ დაუსჯიათ თვითმკვლელობაში დახმარებისთვის. 2008 წელს გაერთიანებული სამეფოს პროკურატურამ დაკითხა დენიელის მშობლები, მაგრამ არ დაუკავებიათ, რადგან მათი განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საკმარისი საფუძვლები არსებობდა დენიელის მშობლების დასაკავებლად, მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ შეესაბამებოდა საჯარო ინტერესებს.[36]

როდესაც ეროვნული კანონმდებლობა თვითმკვლელობის შესაძლებლობას არ იძლევა, ერთადერთ და უკანასკნელ იმედად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რჩება, რომლისგანაც მოელიან საკუთარი უფლებების და ღირსების დაცვას.

2002 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა ინგლისის მოქალაქის, დაიან ფრეთის ევთანაზიის უფლების შესახებ განცხადება, რომლითაც მან სასამართლოს მიმართა 2001 წლის 21 დეკემბერს. ფრეთი დაავადებული იყო უკურნებელი სენით. დღეისათვის შეუძლებელია ამ დაავადების შეჩერება და მით უმეტეს, განკურნება.[37] ფრეთი ითხოვდა ევთანაზიის უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში მოქმედი კანონმდებლობით თვითმკვლელობა 1961 წლის კანონით სუიციდის შესახებ აღარ მიიჩნევა დანაშაულად,[38] ამავე ნორმატიული აქტის მეორე მუხლით ისჯება ის პირი, ვინც დახმარებას გაუწევს თვითმკვლელობის მსურველს.[39] პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფრეთის სარჩელი. ფრეთიმ გადაწყვეტილება გაასაჩივრა. ის აცხადებდა, რომ მისთვის ამ უფლების შეზღუდვით ირღვეოდა ადამიანის უფლებათა და ძირი-

34 Crawley, W., 2008. Chantal Sebire: "I can't take this anymore". [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bbc.co.uk/blogs/ni/2008/03/chantal_sebire_i_cant_take_thi.html> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

35 Hughes, M., 2008. At 23, Daniel chose to & his 'second class' life. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.independent.co.uk/news/uk/home-news/at-23-daniel-chose-to-end-his-second-class-life-965447.html> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

36 Spooner, M., 2009. Legal consensus Eludes Europe. CMAJ. 180 (3): doi: 10.1503/cmaj.081965. გვ. 282. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2630344/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

37 The decision of the European Court, Pretty v. the United Kingdom, 29/05/2002, application 2346/02.

38 Suicide Act. UK Public General Acts 1961 c. 60. Section 1. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/Eliz2/9-10/60/section/1> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

39 იქვე. Section 2.

თად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლი. ლორდთა პალატის განცხადებით, ადამიანის უფლებათა დაცვის რომის კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საკუთარი პირადი ცხოვრების პატივისცემა და აქედან გამომდინარე, ფრეთის გააჩნია თვითგამორკვევის უფლება. თუმცა, ლორდთა პალატის აზრით, მოსარჩელე არჩევანის გაკეთებისას სიკვდილს არჩევს და არა სიცოცხლეს და მის ამ მოთხოვნაში სასამართლო ვერ ხედავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, განახორციელოს მისი სურვილი – დაასრულოს სიცოცხლე მესამე პირის დახმარებით. დასკვნის სახით ლორდთა პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილება სიტყვებისთვის ზედმეტად ფართო მნიშვნელობის მინიჭება იქნებოდა.[40]

ლორდთა პალატამ უცვლელად დატოვა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება და 1961 წლის თვითმკვლელობის აქტის 2(1) პუნქტი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის მე-2 მუხლთან შესაბამისად მიიჩნია. ამის შემდეგ ფრეთიმ მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს.

განმცხადებელი ითხოვდა, მიეცათ მისი მეუღლისთვის უფლება, რომ დახმარებოდა მას სიცოცხლის დასრულებაში, რადგან დამოუკიდებლად ამის გაკეთება არ შეეძლო. დაავადების სიმძიმის მიუხედავად, ფრეთის ინტელექტი და საღი განსჯის უნარი შენარჩუნებული ჰქონდა და არ უნდოდა დამამცირებელი და ტანჯვის შემცველი სიკვდილი და სურდა ევთანაზიის გზით მისი თავიდან აცილება.

საერთაშორისო სასამართლომ განიხილა ფრეთის განცხადება და დაასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში არ შედის საკუთარ ცხოვრებასთან დაკავშირებით ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ კონვენციის ტექსტის დამახინჯება იქნებოდა იმის მტკიცება, რომ მისი მე-2 მუხლი ადამიანს სიკვდილის უფლებას აძლევს. უფრო მეტიც, ეს მუხლი, სასამართლოს აზრით, თვითგამორკვევის უფლებასაც არ ანიჭებს ადამიანს, რომ თვითონ გადაწყვიტოს, სიცოცხლე სურს თუ სიკვდილი.[41] სასამართლომ მითითება გააკეთა ევროკავშირის საპარლამენტო ასამბლეის 1999 წლის 1418 რეკომენდაციის მე-9 პუქტზე, რომლის თანახმადაც, ავადმყოფის სურვილი, მოკვდეს, სხვა პირისთვის მისი დახმარების სამართლებრივ საფუძველს არ წარმოადგენს.[42] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ფრეთის მოთხოვნა.

შემდეგი საქმე, ჰაასი შვეიცარიის წინააღმდეგ[43] – ეხება მწვავე ბიპოლარული დაავადების მქონე პაციენტს, რომლის დაავადებამ მისთვის ღირსეულად ცხოვრება შეუძლებელი გახადა და ითხოვდა, რომ მისთვის სასიკვდილო მედიკამენტი (sodium pentobarbital) გამოეწერათ. მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს ექიმებმა. ჰაასმა მიმართა

40 Pretty v. the United Kingdom, §15.

41 იქვე. §39.

42 Recommendation 1418.,1999. of the Parliamentary Assembly of the Council of Europe. Protection of the human rights & dignity of the terminally ill & the dying. §9. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=16722&lang=en> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

43 The decision of the European Court, Haas v. Switzerland, 20/01/2011, Application 31322/07. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-102940%22]}> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

შვეიცარიის სასამართლოს, მაგრამ სასამართლოშიც უარი მიიღო. ფედერალურმა სასამართლომ განაცხადა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-8 მუხლიდან ადამიანის უფლება საკუთარ სიკვდილზე და სახელმწიფოს მხრიდან სუიციდში დახმარების პოზიტიური ვალდებულება არ გამომდინარეობს. ფედერალური სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს მხოლოდ იმას ავალდებულებს, რომ შემოიღოს იმგვარი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს იმის დადგენას, ნამდვილად შეესაბამება თუ არა თვითმკვლელობის შესახებ გადაწყვეტილება პირის ნებას.[44] სასამართლომ მიუთითა საქმეზე – ფრეთი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ[45] და დაასკვნა, რომ სახელმწიფო არ უნდა ახორციელებდეს იმ ქმედებათა სანქციონირებას, რომლებიც სიცოცხლის შეწყვეტისკენაა მიმართული.

ჰაასმა მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს, რომელმაც აღნიშნა, რომ თანაუგრძნობს განმცხადებლის სურვილს, რომ ღირსეულად დაასრულოს სიცოცხლე, მაგრამ შვეიცარიაში მოქმედი რეგულაციები კანონიერად არ იძლევა იმის უფლებას, რომ ნაჩქარევად მიიღოს პირმა გადაწყვეტილება და პაციენტი, რომელსაც არ ჰყოფნის გამჭრიახობა, დაცული უნდა იყოს იმისგან, რომ არ ღებულობდეს წამლის სასიკვდილო დოზას.[46] სასამართლომ გაიზიარა შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა“ კონვენციის მე-2 მუხლი სახელმწიფოს მხოლოდ იმ პროცედურების შემოღებას ავალდებულებს, რომლებითაც დადგინდება თვითმკვლელობის შესახებ გადაწყვეტილების ადამიანის ნების გამოვლენასთან შესაბამისობა.[47] ეროვნული ხელისუფლების შეხედულებათა და უფლებამოსილებათა გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ მხედველობაში იქნება მიღებული, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები ღირსეული თვითმკვლელობის აქტის განხორციელებასთან დაკავშირებით, შვეიცარიის ხელისუფლებას არ დაურღვევია ეს ვალდებულება მოცემულ საქმეში და აქედან გამომდინარე დაასკვნა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.[48]

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჩვეულ პოზიციას არ უღალატა და არ დააკმაყოფილა გერმანიის მოქალაქის დ. კოჰის მოთხოვნა. კოჰის მეუღლე დაავადებული იყო სენსომოტორული კვადრიპლეგიით. მას სურდა, სიცოცხლე ევთანაზიით დაესრულებინა.[49] მეუღლეებმა მიმართეს სამკურნალო საშუალებების ფედერალურ ინსტიტუტს, რომ გაეცათ მათთვის წამლის სასიკვდილო დოზა, მაგრამ უარი მიიღეს. მათ განემარტათ, რომ მედიკამენტები გაიცემა მხოლოდ სიცოცხლის გასახანგრძლივებლად და არა მის დასასრულებლად. გარდა ამისა, ინსტიტუტის განმარტებით, თვითმკვლელობის უფლება შეუთვსებელია გერმანიის ძირითადი კანონის მე-2 მუხლის პრინციპთან, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს ყოვლისმომცველ ვალდებულებას, რომ დაიცვას ადამიანის სიცოცხლე.[50]

44 იქვე. §16, 6. 1.
45 Pretty v. the United Kingdom, §55 & next.
46 Haas v. Switzerland, §16, 6.1. B. 56.
47 იქვე. §16, 6.1. B. 58.
48 იქვე. §16, 6.1. B. 61.
49 The decision of the European Court, Koch v. Germany, 17/12 /2012, Application 497/09.
50 იქვე.

ინსტიტუტის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სასამართლოში, მაგრამ გერმანიის სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლება სიცოცხლის უფლებაა და არა – სიკვდილის და შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა უფლებების დარღვევას. კოჰმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელმაც ნაწილობრივ დაკმაყოფილა მისი მოთხოვნა. გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ გერმანიის სასამართლოებმა დაარღვიეს მოსარჩელის სამართლებრივი დაცვის უფლება, რადგან არ მისცეს სამკურნალო საშუალებების ფედერალური ინსტიტუტის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა. რაც შეეხება ევთანაზიის უფლებას, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილება გამოაქვს შესაბამის სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და საერთაშორისო სასამართლოს მხოლოდ სარევიზიო ფუნქცია გააჩნია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ადგილი არ ჰქონია მოსარჩელის უფლებათა დარღვევას და ამ ნაწილში კოჰის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.[51]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სახელმწიფოს განუსაზღვრავს როგორც ნეგატიურ, ასევე პოზიტიურ ვალდებულებებსაც. საერთაშორისო სამართალი იმისთვის იქმნება, რომ დადგინდეს ერთიანი სტანდარტები და არცერთი ადამიანი არ დაიჩაგროს სახელმწიფოს თვითნებობის ან ცუდი სამართლებრივი სისტემის გამო. სწორედ ამიტომ, როგორც აღნიშნავენ, „სამართლებრივი ტერმინების განმარტება ეროვნული „მნიშვნელობით“ არასწორია“.[52] საერთაშორისო სამართლის ნორმათა განმარტება არა წესების, არამედ პრინციპების შესაბამისად ხორციელდება. ეს პრინციპები აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი სახელმწიფოების მიერ. ერთ-ერთი ასეთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს, ევოლუციური, ე.ი. დინამიკური განმარტებაა, რაც იმას გულისხმობს, რომ საერთაშორისო აქტების დებულებები უნდა განიმარტოს „საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლის და განვითარების კვალდაკვალ“.[53] დინამიკური განმარტების მეთოდი მკაფიოდ იკითხება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე – „დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“.[54] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ხელისუფლება უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების სოციალურ მოთხოვნებს და მათ შესაბამისად უნდა მოქმედებდეს კანონმდებლობა[55] და აქედან გამომდინარე, ამ სფეროში სახელმწიფოს ჩარევა მიიჩნია ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად.[56]

გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის განმარტებით, ადამიანს აქვს თვითგამორკვევის უფლება თვითმკვლელობასთან დაკავშირებით და კონსტიტუციით განმტკიცებული

51 იქვე.

52 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება და სახელმწიფოს ვალდებულებები. 2017. გვ. 8. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

53 იქვე. გვ. 10.

54 The decision of the European Court, Dudgeon v. United Kingdom, 22/10/1981, Application 7525/76.

55 იქვე. 49-52.

56 იქვე. II, 16,17,18.

ძირითადი უფლებების შეზღუდვით განმარტება დაუშვებელია.[57]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 53-ე მუხლი პირდაპირ და იმპერატიულად მიუთითებს იმის შესახებ, რომ დაუშვებელია კონვენციის ნორმების შეზღუდვით განმარტება.[58] სამართლის ნორმები ყველა ცნების, სიტყვის და ტერმინის მნიშვნელობას დეტალურად ვერ გააშუქებს. ზოგჯერ დასაზუსტებელია სხვადასხვა სიტყვების მნიშვნელობა და მათი შინაარსი. ადამიანის ძირითადი უფლებები, რომლებიც კონსტიტუციითაა აღიარებული და საერთაშორისო კონვენციებით განმტკიცებული, ყოველთვის განვრცობით უნდა განიმარტოს. ამას თვითონვე აღიარებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო.[59]

სტატიაში განხილულ საქმეებში კი მკაფიოდ ჩანს, რომ ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებები აღნიშნული პრინციპების იგნორირებით მიიღო. მან ადამიანის სიცოცხლის უფლება შეზღუდვით განმარტა და უგულებელყო ადამიანის, როგორც სამართლის თავისუფალი სუბიექტის, ინტერესები და მისწრაფებები. არც ევროპული კონვენციის 53-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა გაითვალისწინა და ამით იმ პირებს, რომლებიც სასამართლოს უკანასკნელი იმედით მიმართავდნენ, მათივე დაბადებით მოპოვებული უფლება უსაფუძვლოდ და დაუსაბუთებლად შეუზღუდა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 7 აგვისტოს ინგლისის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლემ, ელეანორ კინგმა, მიიღო ინგლისური სამართლის და მართლმსაჯულებისთვის საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება, მან 12 წლის მძიმე სენით დაავადებული გოგონას დედას, შარლოტ ფიცმორისს, საკუთარი შვილისთვის ევთანაზიის გაკეთების უფლება მისცა.[60] ამგვარი გადაწყვეტილება უგულებელყოფდა არსებულ პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, გაერთიანებულ სამეფოში ამგვარი უფლების მოპოვება მხოლოდ იმ პირებს შეეძლოთ, რომლებიც განუკურნებელი სენით იყვნენ დაავადებულნი და მათი სიცოცხლისუნარიანობა სამედიცინო დახმარებაზე იყო დამოკიდებული. შარლოტის შვილი ნენსი კი არცერთ კრიტერიუმში არ ხვდებოდა, რადგან ის დამოუკიდებლად სუნთქავდა და სამედიცინო აპარატების გარეშე შეეძლო ეცოცხლა.[61] ეს გადაწყვეტილება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მიუხედავად პრაქტიკაში დამკვიდრებული ზოგადი გაუმართლებლი პრინციპისა, არიან მოსამართლეები, რომლებიც სწორად აანალიზებენ ადამიანის არსს და პატივს სცემენ მის უფლებებს და ამის მიხედვით გამოაქვთ გადაწყვეტილება.

57 Germany's top court paves the way for assisted suicide [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.dw.com/en/germanys-top-court-paves-the-way-for-assisted-suicide/a-52531371> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

58 ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. [ინტერნეტი] ხელმსაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

59 The decision of the European Court, Niemietz v. Germany, 16/12/1992, Application 13710/88. A. §29-32.

60 Picciuto, E., 2017. UK Coruts grant mother right to end her 12-year-old disabled daughter's life. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.thedailybeast.com/uk-courts-grant-mother-right-to-end-her-12-year-old-disabled-daughters-life?ref=scroll> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

61 Fischer, J., 2014. Right To Die: UK Mother Wins Right To End 12-Year-Old Daughter's Life In Landmark Decision. Medical Daily. ხელმისაწვდომია: <https://www.medicaldaily.com/> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

ადამიანის ნების თავისუფლების და სიცოცხლის ხარისხის შეფასების მკაფიო მაგალითი აჩვენა სამყაროს 23 წლის ყოფილმა სპორტსმენმა – დენიელ ჯეიმსმა, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ იცოდა, ტრავმის მიღების შემდეგ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდებოდა, იცოდა ისიც, რომ მისი სპორტული კარიერა, რაც ჰქონდა დასახული, ამ ტრავმით დასრულდა. „მეორეხარისხოვანი" სიცოცხლე კი მისთვის მიუღებელი იყო და სიცოცხლე ევთანაზიით დაასრულა.[62] დენიელ ჯეიმსის შემთხვევა ნათელი მაგალითია იმისა, რომ ადამიანი თვითონ უნდა წყვეტდეს, სურს თუ არა სიცოცხლე. მის ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული, სურს თუ არა არსებულ რეალობასთან შეგუება. სიცოცხლის უფლება მხოლოდ სიცოცხლეს, როგორც არსებობას, არ გულისხმობს. ერთია არსებობა და სხვა არის ღირსეული სიცოცხლე. თუ ადამიანი საკუთარ ყოფას აღარ მიიჩნევს ღირსეულად და სურს, რომ სამუდამოდ დაასრულოს ამგვარი დამამცირებელი და ტანჯვისმომტანი ცხოვრება, სახელმწიფოს მისთვის ხელის შეშლის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რადგან ხელისუფლება საკუთარ პოზიციას ადამიანის პირად ღირსებასა და მის პირად შეფასებაზე მაღლა არ უნდა აყენებდეს. ადამიანი დამოუკიდებელი არსებაა და ეს ყოველივე მისი გადასაწყვეტია.

ადამიანის ღირსების დომინანტურ მნიშვნელობას ხაზს უსვამს ბიოეთიკის სახელმძღვანელო კომიტეტიც (CDBI) თავის სახელმძღვანელოში კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებისთვის. სადაც ადამიანის ღირსება ადამიანის უზენაესობადაა აღიარებული და ნათქვამია, რომ ის საზოგადოების და მეცნიერების ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ.[63]

დასკვნა

ევთანაზიასთან დაკავშირებული პრობლემის განხილვა უნდა მოხდეს არა სიკვდილის ხელშეწყობის აკრძალვის, არამედ, სიცოცხლის უფლების შესაბამისად. საკითხი ადამიანის მკვლელობის შეფასებიდან გამომდინარე არ უნდა აიხსნას, ეს არასწორი მიდგომაა. ევთანაზიის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა სახელმწიფოს პოზიციაა. უნდა გაირკვეს, რა პოზიცია და რის საფუძველზე უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს. სახელმწიფოს პოზიცია მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. და ბოლოს, უნდა დადგინდეს სახელმწიფოს უფლებამოსილების ფარგლები ევთანაზიასთან მიმართებაში.

სახელმწიფო ნებართვის გამცემ სუბიექტად კი არ უნდა მოიაზრებოდეს, არამედ უფლების დამცველად. ადამიანის ინტერესები და მისი სურვილები კანონმდებლობაში უნდა აისახებოდეს და არა – პირიქით. კანონების შესაბამისად არ უნდა ხდებოდეს ადამიანის ყოფიერების განსაზღვრა. ჩვენ კანონის მოთხოვნის გამო კი არ ვართ ისეთები, როგორებიც ვართ, არამედ კანონია იმგვარი, როგორსაც მოითხოვს საზოგადოება.

სიცოცხლის უფლება აბსოლუტური სახით უნდა გააჩნდეს ადამიანს და მისი განკარგვის უფლებაც ადამიანის ნებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. ევთანაზია ადამიანის ნების შესაბამისად ხორციელდება. პა-

62 Hughes, M., 2008. At 23, Daniel chose to end his 'second class' life. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.independent.co.uk/news/uk/home-news/at-23-daniel-chose-to-end-his-second-class-life-965447.html> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

63 ბიოეთიკის სახელმძღვანელო კომიტეტი, (CDBI), სახელმძღვანელო კვლევის ეთიკის კომიტეტის წევრებისთვის, Council of Europe, September, 2012. გვ. 10. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.rm.coe.int/1680307ebe> [წვდომის თარიღი 7 ოქტომბერი 2020].

ციენტი მოითხოვს ამას და მას ეს შედეგი სურს. პაციენტი საღ გონებაზეა და იცის, რას ითხოვს, ამიტომ, ამ ვითარებაში დამდგარი სიკვდილი სიცოცხლის უფლების მატარებელი პირის ნების გამომხატველია. შესაბამისად, ევთანაზია სიცოცხლის უფლებაში გამოვლენილი თავისუფლებაა, რომლის განხორციელებაც უფლების მატარებელმა სამართლებრივ ფარგლებში უნდა შეძლოს.

სახელმწიფო ადამიანის უფლებათა შეზღუდვის მიზნით არ შექმნილა. ის არც ადამიანზე აღმატებულ სუბიექტს წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში ხაზს უსვამს იმას, რომ ევთანაზიაზე უარის თქმით სახელმწიფოები არ არღვევენ კონვენციის მე-2 მუხლს, სადაც წერია, რომ: „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა“. სასამართლო ხაზს უსვამს ასევე იმ გარემოებას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სახელმწიფოს არ აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, რომ ხელი შეუწყოს ევთანაზიას. კონვენციის ამ ნორმით ადამიანის თავისუფალი ნების შესაბამისად სიკვდილი აკრძალული არაა. ევთანაზიის დროს სახელმწიფოსგან რაიმე კონკრეტულ ქმედებას (მაგ:ევთანაზიის ცენტრის გახსნა ან სხვა ამგვარი ქმედებები) პოზიტიური ვალდებულების სახით არავინ ითხოვს. მოითხოვენ მხოლოდ იმას, რომ სახელმწიფო არ ჩაერიოს ადამიანის ნებაში და სისხლისსამართლებრივი ნორმებით არ შეუშალოს ხელი ისედაც მომაკვდავ ავადმყოფს უკანასკნელი სურვილის განხორციელებაში. ამდენად, ევთანაზიის დეკრიმინალიზება სახელმწიფოს მხრიდან არც წარმოადგენს პოზიტიურ ვალდებულებას. ისევე, როგორც სიტყვის თავისუფლება იქნება გარანტირებული, თუ სახელმწიფო არ შეზღუდავს მოქალაქეებს და არ დააწესებს ცენზურას.

სასამართლოს პოზიცია ემყარება ასევე იმ არგუმენტს, რომ ავადმყოფის სურვილი, მოკვდეს, არ წარმოადგენს სხვა პირისთვის სამართლებრივ საფუძველს და განუკურნებელი ან მომაკვდავი ავადმყოფის აღიარებითი სურვილი, მოკვდეს, არასდროს წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს სხვა პირისათვის, სისრულეში მოიყვანოს აღნიშნული სურვილი, თუ ავადმყოფის სიკვდილის სურვილი სხვა პირის ვალდებულებას არ წარმოშობს, მაშინ ამ სხვა პირში სახელმწიფოც იგულისხმება. თუ ეს ასეა, მაშინ გაურკვეველია, საიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ამგვარ შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოეშობა ვალდებულება, ხელი შეუშალოს ავადმყოფს ამ სურვილის განხორციელებაში. სასამართლოები არასწორად განმარტავენ კონვენციის ნორმებს და არ აქცევენ ყურადღებას იმას, რომ კონვენციაში სიცოცხლის უფლების დაცვაზეა საუბარი და არა სიცოცხლის დაცვაზე. უფლება კი უნდა განიმარტოს ისე, რომ მასში ვალდებულება არ იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ან სიცოცხლის უფლებამოსილება იქნება, ან მოვალეობა. ადამიანის ყველა უფლება მისი შესაძლებლობაა და უფლებად იმიტომაა აღიარებული, რომ მისი განხორციელება პირის სურვილზეა დამოკიდებული და მას უფლების გამოყენება არ ევალება.

გაუსაძლის პირობებში იძულებით ცხოვრება ტანჯვაა. სახელმწიფომ სიცოცხლის უფლების ვალდებულებად ქცევით არ უნდა შელახოს ადამიანის ღირსება. სახელმწიფო ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი არაა. ის მხოლოდ ქცევის წესებს ადგენს. ადამიანის სიცოცხლე აბსოლუტური მასშტაბით ეკუთვნის მას და სახელმწიფოს არ აქვს უფლება, ჩაერიოს ამ უფლების განხორციელებაში. თუ ადამიანს დამოუკიდებლად შეუძლია თავის მოკვლა და წარუმატებელი მცდელობისთვის ის არ ისჯება,იმიტომ, რომ ეს დანაშაული არაა, რატომ უნდა ითვლებოდეს დანაშაულად თვითმკვლელობაში დახმარება მაშინ, როცა ადამიანს დამოუკიდებლად ამის გაკეთება

არ შეუძლია და სხვისგან ითხოვს შველას? თუ ქმედება დანაშაულს არ წარმოადგენს, მის განხორციელებაში დახმარება, მით უმეტეს, არ შეიძლება დანაშაულად განიხილებოდეს. ევთანაზიის დროს ავადმყოფი ხომ სხვისი დახმარებით აკეთებს იმას, რასაც, რომ შესძლებოდა, თვითონ გააკეთებდა? თუ ქუჩაზე გადასვლის დროს მოხუცის ან ბავშვის დახმარება არ ისჯება, რადგან ქუჩაზე გადასვლა სამართალდაღვევას არ წარმოადგენს, ლოგიკურად გაუმართლებელია, დაისაჯოს პირი თვითმკვლელობაში ავადმყოფის დახმარებისთვის, როცა ეს ავადმყოფი დაჟინებით მოითოვს დახმარებას და თვითმკვლელობა დანაშაულებრივ ქმედებათა რიცხვში არ შედის.

სახელმწიფოს უფლებამოსილებები დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებს არ უნდა სცდებოდეს, თუ სახელმწიფოს ექნება სიცოცხლის უფლების შენარჩუნების ვალდებულება, ეს რომელიმე ნორმაში პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც უნდა იგულისხმებოდეს. ასეთი ნორმა კი არ არსებობს, რაც გამორიცხავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, მიიღოს ქმედითი ზომები ევთანაზიის აკრძალვისთვის.

სიცოცხლის უფლების სხვისთვის გადაცემა შეუძლებელია, ამიტომ, ის, ისევე როგორც ღირსება, პიროვნულადაა დაკავშირებული მის მატარებელ სუბიექტთან. სიცოცხლის და ღირსეულად ცხოვრების დაძალება კი პიროვნების იგნორირებას ნიშნავს. ევთანაზიის განხორციელებაზე უარის თქმა გულისხმობს იმას, რომ ადამიანის ღირსების შეფასებას სახელმწიფო ახორციელებს და არა თვითონ ადამიანი. სიცოცხლის ამგვარი დაცვით სახელმწიფო გამორიცხავს ღირსების უფლებას.

კანონშემოქმედს და სამართალშემფარდებელს ზოგჯერ უწევთ საკითხის რაციონალურ საფუძველზე გადაწყვეტა, ჰუმანურია თუ არა გადაწყვეტილება, ამას არ ექცევა ყურადღება და ჰუმანურობაზე წინ აუცილებლობა დგება. ასევეა ევთანაზიის შემთხვევაშიც. საკითხის დარეგულირებისას გადაწყვეტილების მიღება ჰუმანურობის განცდიდან კი არ უნდა გამომდინარეობდეს, არამედ სახელმწიფოს უფლებამოსილებათა ფარგლებიდან.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Brazier, M., 1996. Euthanasia and the law. British Mmdical Bulletin, 52 (2), pp. 317-325.
2. Bradley, G.V., 2014. Life's Dominion: A Review Essay. Notre Dame Law Review. 69 (2), Article 8.
3. Sinnott, G., 2018. Euthanasia: A Form of Newgenics? Proceedings of The National Conference On Undergraduate Research (NCUR) 2018. University of Central Oklahoma. Edmond, Oklahoma: April 5-7.
4. Dworkin, R., 2015. Life Past Reason. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <http://www.belmont.bme.umich.edu/wp-content/uploads/sites/377/2018/02/2-Life-Past-Reason.pdf> [წვდომის თარიღი 07 ოქტომბერი 2020].
5. European Court of Human Rights. Press release issued by the Registrar. Inadmissibility Decision Ada Rossi and Others v. Italy. 936, 22.12.2008.
6. Voluntary Euthanasia. Stanford Encyclopedia of Philosophy. First published Thu Apr 18, 1996. substantive revision Mon Jan 6, 2020. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.plato.stanford.edu/entries/euthanasia-voluntary/> [წვდომის თარიღი 07 ოქტომბერი 2020].
7. Wildhaber, L., 2002. Human Rights: How to Protect It in the Strasbourg and National Courts, Journal of Man and the Constitution, 1.

ნორმატიული მასალა:

1. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. 1950. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [წვდომის თარიღი 07 ოქტომბერი 2020].
2. საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995. #786. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [წვდომის თარიღი 07 ოქტომბერი 2020].

სასამართლო პრაქტიკა:

1. The decision of the European Court, Keenan v. the United Kingdom, 3/04/2001. Application no. 27229/95.

Bibliography:

Used Literature:

1. Brazier, M., 1996. Euthanasia and the law. British Medical Bulletin, 52 (2): pp. 317-325. (in English)
2. Bradley, G.,V., 2014. Life's Dominion: A Review Essay. Notre Dame Law Review, 69 (2) Article 8. (in English)
3. Sinnott, G., 2018. Euthanasia: A Form of Newgenics? Proceedings of The National Conference On Undergraduate Research (NCUR) 2018. University of Central Oklahoma. Edmond, Oklahoma: April 5-7. (in English)
4. Dworkin, R., 2015. Life Past Reason. [Online] Available at: <http://www.belmont.bme.umich.edu/wp-content/uploads/sites/377/2018/02/2-Life-Past-Reason.pdf> [Accessed 7 October 2020]. (in English)
5. European Court of Human Rights. Press release issued by the Registrar. Inadmissibility Decision Ada Rossi and others v. Italy. 936. 22.12.2008. (in English)
6. Voluntary Euthanasia. Stanford Encyclopedia of Philosophy. First published Thu Apr 18, 1996. substantive revision Mon Jan 6, 2020. [Online] Available at: <https://www.plato.stanford.edu/entries/euthanasia-voluntary/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
7. Wildhaber, L., 2002. Human Rights: How to Protect It in the Strasbourg and National Courts, Journal of Man and the Constitution, 1. (in English)

Normative material:

1. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. 1950. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 7 October 2020]. (in Georgian)
2. Constitucion of Georgia. 24.08.1995.#786. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36> [Accessed 7 October 2020]. (in Georgian)

Judicial practice:

1. The decision of the European Court, Keenan, v. the United Kingdom, 3/04/2001. Application no. 27229/95. 3 April 2001. (in English)

References:

1. Voluntary Euthanasia, Stanford Encyclopedia of Philosophy. First published Thu Apr 18, 1996. substantive revision Mon Jan 6, 2020. [Online] Available at: <https://www.plato.stanford.edu/entries/euthanasia-voluntary/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
2. Brock, D., 1992. Voluntary Active Euthanasia, The Hastings Center Report. 22 (2), p.10. [Online] Available at: <https://www.jstor.org/stable/3562560?seq=1> [Accessed 7 October 2020]. (in English).
3. Smoker, B., 1983. Voluntary euthanasia, Journal of medical ethics, 9, p. 52. [Online]Available at: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC1060855/pdf/jmedeth00008-0052a.pdf> [Accessed 7 October 2020]. (in English)
4. Wanzer, S. and others. 1989. The physician's responsibility toward hopelessly ill patients: A second look.The New England Journal of Medicine, 320 (13). pp. 844 – 849. (in English)
5. Vizcarrondo, F., 2013. Editorial Euthanasia and assisted suicide: The physician's role. The Linacre Quarterly, 80 (2), p. 101. [Online] Available at: <https://www.journals.sagepub.com/doi/full/10.1179/0024363912Z.0000000002> [Accessed 7 October 2020]. (in English)
6. Seale, C., 2000. Changing patterns of death and dying. Social Science & Medicine 51(6), pp. 917 – 930. [Online] Available at: <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S027795360000071X?via%3Dihub> [Accessed 7 October 2020]. (in English)
7. Lieve, V. d. and others, 2009. Euthanasia and other end-of-life decisions: a mortality follow-back study in Belgium, BMC Public Health, 9:79. p. 4. [Online] Available at: <https://www.bmcpublichealth.biomedcentral.com/track/pdf/10.1186/1471-2458-9-79> [Accessed 7 October 2020]. (in English)
8. Ibid.
9. Peretti-Watel, P. and others, 2003. Doctors' opinions on euthanasia, end of life care, and doctor-patient communication: telephone survey in France, 327 (7415). p. 595. [Online] Available at: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC194087/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
10. Wolfensberger, W., 1993. A reflection on Alfred Hoche, the ideological godfather of the German "euthanasia" program. Disability, Handicap & Society, 8(3), p. 311. (in English)
11. Vizcarrondo, F., 2013. Editorial Euthanasia and assisted suicide: The physician's role. The Linacre Quarterly 80 (2), p. 100. [Online] Available at: <https://www.journals.sagepub.com/doi/full/10.1179/0024363912Z.0000000002> [Accessed 7 October 2020]. (in English)
12. Khubua G., 2015. Theory of Law. Tbilisi: Meridian, p. 67. (in Georgian)
13. Rachels, J., 2003. The elements of Moral Philosophy, Fourth ed. McGraw-Hill Higer Education, NY. p. 58. (in English)
14. Keown, D. and Keown, J. 1995. Killing, karma and caring: euthanasia in Buddhism and Christianity. Journal of medical ethics, 21(5). p. 266. (in English)
15. Perrett, R. W., 1996. Buddhism, euthanasia and the sanctity of life. Massey University, Palmerston North, New Zealand. Journal of Medical Ethics, 22, p. 312. (in English)
16. Andrianov, A., 2019. Attitude towards euthanasia in Buddhism. p. 184. DOI: 10.24411/2309-5164-2019-17813 [Online] <https://www.cyberleninka.ru/article/n/otnoshenie-k-evtanazii-v-buddizme/viewer> [Accessed 7 October 2020]. (in Russian)
17. Barnes, M., 1996. Euthanasia: Buddhist principles. Heythrop College, University of London, London: UK. BrWt/i Mwfcol Bulletin 1996; 52 (2). p. 373. [Online] Available at: <https://www.academic.oup.com/bmb/article/52/2/369/403431> [Accessed 7 October 2020]. (in English)
18. Nimbalkar, N., 2007. Euthanasia: The Hindu Perspective. National Seminar on BIO ETHICS – 24 55 th & 25th Jan. . Joshi-Bedekar College, Thane, p. 56. [Online] Available at: <http://www.vpmthane.com/Publications/Bio-Ethics/Namita%20Nimbalkar.pdf> [Accessed 7 October 2020]. (in English)
19. Euthanasia, assisted dying, and suicide. Last updated 2009-08-25. [Online] Available at:

<http://www.bbc.co.uk/religion/religions/hinduism/hinduethics/euthanasia.shtml> [Accessed 7 October 2020]. (in English)

20. The Holy Qur'an. 2015. Arabic text and English translation. Islam International publications limited. [Online] Available at: <https://www.alislam.org/quran/Holy-Quran-English.pdf> [Accessed 7 October 2020]. (in English)
21. Marcoux, I., Mishara, B. L. and Durand, C., 2007. Confusion Between Euthanasia and Other End-of-Life Decisions (Influences on Public Opinion Poll Results). Canadian Journal of Public Health, 98 (3), pp. 235 – 239. [Online] Available at: <https://www.pubmed.ncbi.nlm.nih.gov/17626391/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
22. Chapple, A., Ziebland, S., McPherson, A. and Herxheimer, A., 2006. What people close to death say about euthanasia and assisted suicide: a qualitative study. Journal of Medical Ethics, 32(12) p. 706. (in English)
23. Van Zeebroek, S., Patient's Orders: Patient's Rights and the Doctor's Obligations under the Claeys–Leonetti Law of 2016 in France. Statute Law Review, 2019, 40 (3), p. 267. [Online] Available at: <https://www.academic.oup.com/slr/article/40/3/266/4932786> [Accessed 7 October 2020]. (in English)
24. Ibid.p. 268.
25. France adopts sedated dying law as compromise on euthanasia. [Online] Available at: <https://www.theguardian.com/society/2016/jan/28/france-adopts-sedated-dying-law-as-compromise-on-euthanasia> [Accessed 7 October 2020]. (in English)
26. Zeebroeck, S., 2019. Patient's Orders: Patient's Rights and the Doctor's Obligations under the Claeys – Leonetti Law of 2016 in France. Statute Law Review, 40 (3), p. 267. [Online] Available at: <https://www.academic.oup.com/slr/article/40/3/266/4932786> [Accessed 27.03.2020]. (in English)
27. Siffat, M. and Nesselrode, A., 2019. The Ethics of Euthanasia, United Nations Human Rights Council. p. 5. [Online] Available at: <https://www.teimun.org/wp-content/uploads/2019/02/GrunnMUN-2019-HRC-BGP-Final.pdf> [Accessed 7 October 2020]. (in English)
28. Art 216, 217, German Criminal Code. [Online] Available at: <https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stgb/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
29. Bundesverfassungsgericht. Press Release No. 12/2020 of 26 February 2020. Criminalisation of assisted suicide services unconstitutional. Judgment of 26 February 2020. [Online] Available at: <https://www.bundesverfassungsgericht.de/SharedDocs/Pressemitteilungen/EN/2020/bvg20-012.html> [Accessed 7 October 2020]. (in English)
30. Cook, M., 2020. Germany's high court endorses right to assisted suicide. 29.02.2020. [Online] Available at: <https://www.bioedge.org/bioethics/germanys-high-court-endorses-a-right-to-assisted-suicide/13343> [Accessed 7 October 2020]. (in English)
31. Art. 24, Law of Georgia on Patients' Rights, 25/05/2000. #283. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16978?publication=11> [Accessed 7 October 2020]. (in Georgian)
32. Art. 148. Law of Georgia "On Health Care" 10/12/1997. #1139. [Online] Available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=42> [Accessed 7 October 2020]. (in Georgian)
33. Spooner, M., 2009. Legal consensus Eludes Europe. CMAJ. 3, 180 (3): p. 282. [Online] Available at: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2630344/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
34. Crawley, W., 2008. Chantal Sebire: "I can't take this anymore". [Online] Available at: <https://www.bbc.co.uk/blogs/ni/2008/03/chantal_sebire_i_cant_take_thi.html> [Accessed 7 October 2020]. (in English)
35. Hughes, M., 2008. At 23, Daniel chose to end his 'second class' life. [Online] Available at: <https://www.independent.co.uk/news/uk/home-news/at-23-daniel-chose-to-end-his-second-class-life-965447.html> [Accessed 7 October 2020]. (in English)
36. Spooner, M., 2009. Legal consensus Eludes Europe. CMAJ, 180(3): p. 282. [Online] Available at: <https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2630344/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
37. The decision of the European Court, Pretty v. the United Kingdom, 29/05/2002, application 2346/02) §15. (in English)

38. Suicide Act. UK Public General Acts 1961 c. 60. Section 1. [Online] Available at: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/Eliz2/9-10/60/section/1> [Accessed 7 October 2020]. (in English)
39. Ibid. Section 2.
40. The decision of the European Court, Pretty v. the United Kingdom, 29/05/2002, application 2346/02. §15. (in English)
41. Ibid. §39.
42. Recommendation 1418 (1999) of the Parliamentary Assembly of the Council of Europe. Protection of the human rights and dignity of the terminally ill and the dying. §9. [Online] Available at: <https://www.assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=16722&lang=en> [Accessed 7 October 2020]. (in English)
43. decision of the European Court, Haas v. Switzerland, 20/01/2011, Application 31322/07. [Online], Available at: <https://www.hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-102940%22]}> [Accessed 7 October 2020]. (in English)
44. Ibid. §16, 6.1.
45. Pretty v. the United Kingdom. §55 and next. (in English).
46. Haas v. Switzerland, §16, 6.1. B. 56 [Online] Available at: <https://www.hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22001-102940%22]> [Accessed 7 October 2020]. (in English)
47. Ibid. §16, 6.1. B. 58.
48. Ibid. §16, 6.1. B. 61.
49. decision of the European Court, Koch v. Germany, 17/12/2012, Application 497/09. (in English)
50. Ibid.
51. Ibid.
52. The right to respect for private and family life and the obligations of the state. 2017. Review of the case law of the European Court of Human Rights and the case law of the Constitutional Court of Georgia, 2017. 8. [Online] Available at: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/piradi-da-ojaxuri-cxovrebis-pativiscemis-upleba-da-saxelmwipo-valdebulebebi.pdf> [Accessed 7 October 2020]. (in Georgian)
53. Ibid. p.10.
54. The decision of the European Court , Doudgeon v. United Kingdom, 22/10/1981, Application 7525/76. (in Georgian)
55. Ibid. Series A. #45. 49-52. (in English)
56. Ibid. II, 16,17,18. (in English)
57. Germany's top court paves the way for assisted suicide [Online] Available at: <https://www.dw.com/en/germanys-top-court-paves-the-way-for-assisted-suicide/a-52531371> [Accessed 7 October 2020]. (in English)
58. Convention for the Protection of Human Rights and Freedoms. 1950. [Online] Available at: 20.05.1999. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0> [Accessed 7 October 2020]. (in English)
59. The decision of the European Court, Niemietz v. Germany, 16/12/1992, Application 13710/88. A. §29 – 32. (in English)
60. Picciuto, E., 2017. UK Coruts grant mother right to end her 12-year-old disabled daughter's life. [Online] Available at: <https://www.thedailybeast.com/uk-courts-grant-mother-right-to-end-her-12-year-old-disabled-daughters-life?ref=scroll> [Accessed 7 October 2020]. (in English)
61. Fischer, J., 2014. Right To Die: UK Mother Wins Right To End 12-Year-Old Daughter's Life In Landmark Decision. Medical Daily. [Online] Available at: <https://www.medicaldaily.com/> [Accessed 7 October 2020]. (in English)
62. Hughes, M., 2008. At 23, Daniel chose to end his 'second class' life. [Online] Available at:<https://www.independent.co.uk/news/uk/home-news/at-23-daniel-chose-to-end-his-second-class-life-965447.html>[Accessed 7 October 2020]. (in English)
63. Bioethics Steering Committee, (CDBI), Guidelines for Research Ethics Committee Members, Council of Europe, September, 2012. p. 10. [Online] Available at: <https://www.rm.coe.int/1680307ebe> [Accessed 7 October 2020]. (in Georgian)